პროფესიონალი

№87

PROFESIONALI

ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია



სამაგისტრო პროგრამების აკრედიტაცია

- გემის ენერგეტიკული და ელექტრული სისტემების დანადგარები
- საპორტო ოპერაციების მართვა
- საზღვაო ტურიზმის მენეჯმენტი

საბაკალავრო პროგრამების აკრედიტაცია

- საზღვაო ნავიგაცია
- გემის ელექტრომექანიკა
- გემის მექანიკა
- ნავსადგურებისა და ტერმინალების გადამტვირთავი აღჭურვილობის ექსპლუატაცია
- ეკონომიკა – ტრანსპორტის ეკონომიკა
- ფინანსები – საფინანსო საქმე დაზღვევა ტრანსპორტზე
- ბიზნესის ადმინისტრირება

საქართველო, 6010 ბათუმი, რუსთაველის ქ. №53
ტელ.: +995(422) 27-94-51
ვებ-გვერდი: http://bsma.edu.ge
ფაქსი: +995(422) 27-48-50
ელ. ფოსტა: info@bsma.edu.ge

პროფესიონალი +

www.prof-news.com

მთ.რედაქტორი:
ელა დუდაევი

სარედაქციო კოლეგია

მისამართი:
თბილისი, ბ. ინგოროყვას №6
ტელ.: 299-82-60

E-mail:profesionali@mail.ru

ჟურნალი მოქმედებს თავისუფალი პრესის პრინციპით. ავტორი თავად აგებს პასუხს მასალაში მოყვანილი ფაქტების სიზუსტეზე. რედაქცია ყოველთვის არ იზიარებს ჟურნალისტის პოზიციებს და ამავე დროს, არ გამოხატავს, არცერთი პარტიისა თუ პოლიტიკური დაჯგუფების ინტერესებს.

20.12.18. - 20.01.19

უმორჩილესად გთხოვთ ჩვენი ჟურნალის წარმომადგენლებს მოსთხოვოთ სათანადო მოწმობა

პარლამენტის პლენარული სხდომა

პლენარულ სხდომაზე პარლამენტმა მესამე მოსმენით განიხილა 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონპროექტის თანმდევი კანონპროექტები. მათ შორის „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ კანონპროექტი. კანონპროექტით ახლებურად ყალიბდება მუნიციპალიტეტების კუთვნილი დამატებული ღირებულების გადასახადის განაწილების წესი. მომხსენებლის, საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილის გიორგი კაკაურიძის თქმით, მეორე მოსმენის შემდეგ კანონპროექტში იურიდიულ საკითხთა კომიტეტის რეკომენდაციით მცირე რედაქციული ხასიათიც ცვლილებები განხორციელდა. მეორე მოსმენის შემდეგ ცვლილებები არ შესულა „საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“ და „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის შესახებ“ კანონპროექტებში. მეორე მოსმენით განიხილეს პარლამენტის წევრის, რევაზ არველაძის საკანონმდებლო ინიციატივით წარმოდგენილი კანონპროექტი „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, რომლის თანახმადაც ჩნდება და განისაზღვრება ელექტროენერგიის

საბითუმო მიმწოდებლის სტატუსი, რომელიც უზრუნველყოფს ელექტროენერგიის შესყიდვას და მიწოდებას პირდაპირი მომხმარებლებისთვის.

პარლამენტის წევრმა დავით სონღულაშვილმა კოლეგებს მეორე მოსმენით განსახილველად წარუდინა „საქართველოს საზღვაო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ კანონპროექტი, რომლის თანახმად, საქართველოს სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ 500 და მეტი რეგისტრული ტონის საერთო ტევადობის გემს, რომელიც გამოიყენება მეზღვაურთა სასწავლო-საწვრთნელი მიზნით, შეუძლია განახორციელოს საერთაშორისო ნაოსნობა. ასეთი გემების ტექნიკური ზედამხედველობის პირობა, ტექნიკური ზედამხედველობის სტანდარტი და საერთაშორისო მოწმობების გაცემის წესი თანხმდება სააგენტოსთან აღიარებული ორგანიზაციის მხრიდან.

პარლამენტმა მესამე მოსმენით განიხილა „თამბაქოს კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ კანონპროექტი, რომელიც ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე აკაკი ზოიძემ გამოიტანა, პარლამენტმა ასევე მესამე მოსმენით განიხილა თანმდევი კანონპროექტი „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“. მომხსენებლის განცხადებით, შესაბამის უწყებებთან კონსულტაციის შედეგად, ცვლილება შეეხო ვადების საკითხს, კერძოდ, თამბაქოს ინდუსტრიას მიეცა გონივრული ვადა რათა კანონის ამოქმედებას მომზადებული შეხვდნენ.

ფინანსთა მინისტრის მოადგილემ გიორგი კაკაურიძემ სხდომაზე წარადგინა სარატიფიკაციო დოკუმენტები: „საქართველოს (მიმღები) და სკანდინავიურ გარემოს საფინანსო კორპორაციას (როგორც E5P დაფინანსებული პროექტის განმახორციელებელი საა-გენტო „საქართველოში საჯარო შენობების ენერგოეფექტურობის გაუმჯობესება და განახლებადი და ალტერნატიული ენერგიის გამოყენება“) შორის საგრანტო შეთანხმება და „საქართველოს და სკანდინავიურ გარემოს საფინანსო კორპორაციას შორის სასესხო შეთანხმება (საქართვე-

ლოში საჯარო შენობების ენერგოეფექტურობის გაუმჯობესება და განახლებადი და ალტერნატიული ენერგიის გამოყენება)". მისი ინფორმაციით, ამ საგრანტო და სასესხო შეთანხმებებით, ჯამში, 4 მილ. 700 ათასი ევრო გამოიყოფა საჯარო სკოლებისა და საბავშვო ბაღების, სულ 25 შენობის რეაბილიტაციისათვის, კერძოდ, მათი ენერგოეფექტურობის გაუმჯობესებისათვის.

ფინანსთა მინისტრის მოადგილემ გიორგი კაკაურიძემ ასევე გამოიტანა კანონპროექტი „საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ", რომელიც პარლამენტმა მეორე მოსმენით განიხილა.

ამ კანონპროექტის ძირითადი სულისკვეთება ისაა, რომ სესხი 200 ათას ლარამდე მხოლოდ ეროვნულ ვალუტაში უნდა გაიცეს. კერძოდ, კანონპროექტი განვადებით ნასყიდობისას, ლიზინგის დაფინანსებისას და სესხის გაცემისას არსებული 100 000 ლარიანი ზღვარის 200 000 ლარამდე გაზრდას ითვალისწინებს. პარლამენტმა ასევე მეორე მოსმენით განიხილა თანმდევი კანონპროექტი „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ". შენიშვნები კანონპროექტების მიმართ არ დაფიქსირებულა.

„საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" კანონპროექტზე საქართველოს ეროვნული ბანკის დასკვნა წარმოადგინა ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტმა არჩილ მესტვირიშვილმა. მისი განცხადებით, ეროვნულ ბანკს, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, წარმოდგენილი კანონპროექტის

მიმართ შენიშვნები არ გააჩნია.

„საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" კანონპროექტზე საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა გენერალურმა აუდიტორმა ირაკლი მექვაბიშვილმა წარადგინა.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შეფასებით, პროექტით გათვალისწინებული ცვლილებები ასახავს წლის განმავლობაში ფაქტობრივად რეალიზებულ ტენდენციებს, კანონპროექტი

არსებული დაშვებების საფუძველზე, ძირითადად სათანადოდ არის მომზადებული, შესაძლებელია იგი, მოქმედი ნორმატიული ბაზის გათვალისწინებით, შეფასდეს საფუძვლიანად და კანონიერად.

კანონპროექტის მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება გამოხატეს ოპოზიციის წარმომადგენლებმა.

საპარლამენტო უმრავლესობის სახელით პაატა კვიჟინაძემ წარმოდგენილი პროექტის დადებით მხარეებზე გაამახვილა ყურადღება და კოლეგებს მხარდაჭერისკენ მოუწოდა.

ამის შემდეგ პარლამენტმა პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის მიერ 2017 წლის 1 სექტემბრიდან 2018 წლის 1 სექტემბრამდე გაწეული მუშაობის ანგარიში მოისმინა , რომელიც კომიტეტის თავმჯდომარემ გიორგი კახიანმა გააცნო კოლეგებს.

საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის წლიური ანგარიში (2017 წლის 1 სექტემბერი - 2018 წლის 1 სექტემბერი) კომიტეტის თავმჯდომარემ სოფიო ქაცარავამ წარმოადგინა. მომხსენებლებმა უპასუხეს კოლეგების შეკითხვებს და მოისმინეს მათი შეფასებები გაწეული საქმიანობის თაობაზე.

პარლამენტმა სხდომაზე კენჭი უყარა სსიპ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (საქსტატის) საბჭოს წევრობის ვაკანტურ თანამდებობაზე წარმოდგენილ კანდიდატურებს და 79 ხმით, ერთხმად, მხარი დაუჭირა გიორგი მუხიგულიშვილის კანდიდატურას.

დეპუტატებმა კენჭისყრით დაუჭირეს მხარი განხილულ საკითხებს და ცნობად მიიღეს კომიტეტების მიერ წარმოდგენილი წლიური საქმიანობის ანგარიშები.

ფინანსები, რასაც სახელმწიფო გამოყოფს, სწორად უნდა იყოს ათვისებული

„საქართველოს მთავრობას აქვს ურყევი პოლიტიკური ნება, გააგრძელოს და ბოლომდე მიიყვანოს დეცენტრალიზაციისა და ადგილობრივი თვითმმართველობის დემოკრატიზაციის პროცესი...“ - ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ საქართველოს სახელმწიფო და ადგილობრივი ხელისუფლების ინსტიტუციური დიალოგის გენერალურ ფორუმზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა. ვფიქრობთ, ძალიან მნიშვნელოვანია, როდესაც ქვეყანას მკვეთრად გამოხატული მიზნები გააჩნია და მათ განსახორციელებლად ყველა ღონეს ხმარობს. ზოგადად, მთელ ცივილიზებულ სამყაროში, თავისუფალი, დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნა თვითმმართველობის პრინციპებზე დაფუძნებული პოლიტიკური სისტემის აგებას ნიშნავს, რომელიც მოქალაქეთა ფუნდამენტურ უფლებებს უზრუნველყოფს. საქართველოში და ქართულ დემოკრატიაში თვითმმართველობას ყოველთვის განსაკუთრებული როლი ჰქონდა და სიმბოლურია, რომ ქვეყნის ხელმძღვანელობის დღევანდელი ხედვა სრულ თანხვედრაშია მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებთან. შესაბამისად, მთავრობის ამოცანა საზოგადოებრივი კეთილდღეობის უზრუნველყოფა, თითოეული მოქალაქისა თუ საზოგადოებრივი ჯგუფის თავისუფალი განვითარება და ხალხისთვის სრულფასოვანი საზოგადოებრივი მომსახურების მიწოდება გახლავთ. ეს ყველაფერი კი, მხოლოდ დეცენტრალიზებული მმართველობის პირობებშია შესაძლებელი. იმერეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებული-გუბერნატორი, ბატონი **შავლეგო ტაბატაძე** მიიჩნევს, რომ ადგილობრივი მმართველობის სისტემა ადეკვატურად უნდა პასუხობდეს საზოგადოებრივ მოთხოვნებს და უზრუნველყოფდეს მოქალაქეთა მონაწილეობას გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, რათა ყველა მაქსიმალურად იზიარებდეს მომავალი რეფორმების სულისკვეთებას და გეგმაზომიერად მუშაობდეს, მიზნად დასახული რეგიონის და მთლიანად, ქვეყნის საერთო წარმატებისთვის.

- ბატონო შავლეგო, სამი თვეა რაც ამ თანამდებობაზე დაინიშნეთ...

- მოგეხსენებათ, იმერეთი ჩემთვის უცხო არ გახლავთ, რადგან გარკვეული პერიოდის განმავლობაში აქ სამსახურმა მომიწია. წარმოშობითაც იმერეთიდან ვარ, ამიტომ, შევეცდები ჩემი მთელი გამოცდილება, ჩემს რეგიონს მოვახმარო. უმთავრესი, რითიც დავიწყეთ, მუნიციპალიტეტთან, ადგილობრივ თვითმმართველობასთან და რაც მთავარია მოსახლეობასთან კომუნიკაცია გახლდათ. მიმაჩნია, რომ საჭიროა თვითმმართველობებმა დასვან კითხვები, მიიღონ მათზე პასუხები, გაიზიარონ გამოცდილება, დასახონ სამომავლო გეგმები და განსაზღვრონ შესასრულებელი ამოცანები. ევროპული პრაქტიკის გათვალისწინებით, ჩვენ უნდა ჩამოვაყალიბოთ ის მოდელები, რომელიც სჭირდება საქართველოს, რომ თვითმმართველობის სისტემა კიდევ უფრო ეფექტიანი გახდეს. შესაბამისად, მინდა, რომ ჩვენი ურთიერთობა იყოს ჯანსაღი და ნდობაზე დამყარებული. მოსახლეობას დავპირდი, რომ ძალიან ხშირად ვიქნები თითოეულ მუნიციპალიტეტში, ადგილზე გავეცნობი ხალხის პრობლემებს და ჩემ სიტყვას პირნათლად ვასრულებ.

- რეგიონის მთავარი პრობლემა სასმელი წყლის საკითხის მოუგვარებლობა გახლავთ...

- ნიშანდობლივია, რომ, როდესაც ჭიათურის მუნიციპალიტეტის მოსახლეობას პირველად შევხვდი, მათ პრიორიტეტად სწორედ სოფლებისთვის სასმელი წყლის მიწოდება დაასახელეს. მე დავპირდი ამ საკითხის მოგვარებას და მინდა განვაცხადო, რომ უკვე დღეს, ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ ითხვისის მაცხოვრებლებს, 25 წლიანი უწყლობის შემდეგ, სასმელი წყლის პრობლემა აღარ აქვთ. პირველ ეტაპზე სარეაბილიტაციო სამუშაოების შედეგად 100-ზე მეტი ოჯახი ისარგებლებს. მეორე ეტაპზე კი სათავე ნაგებობის სრული რეაბილიტაცია განხორციელდება და საერთო ჯამში სასმელი წყალი ითხვისის, კალაურისა და შუქრუთის მოსახლეობას 24 საათიანი გრაფიკით მიეწოდება. გარწმუნებთ, რომ პროცესი აუცილებლად გაგრძელდება და მაქსიმუმს გავაკეთებ, რათა იმერეთის რეგიონის ყველა სოფელში სასმელი წყლის პრობლემა საბოლოოდ აღმოიფხვრას.

- მთავარია, მოსახლეობამ, რომელთა დიდი ნაწილიც მთიან ზონაში ცხოვრობს, მომავლის იმედი არ დაკარგოს...

- მიგრაცია აუცილებლად უნდა შევაჩეროთ. საერთო სოციალური ფონი მხოლოდ იმერეთში ვერ აღორძინდება, ეს მთელს საქართველოში უნდა მოგვარდეს. მოგეხსენებათ, მთავრობის მეთაურის დავალებით, ახლახან შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომლის წევრი მეც გახლავართ, რომელიც მაღალმთიანი დასახლების სტატუსის მინიჭების კრიტერიუმებს გადახედავს. შეფასდება კანონის მიერ მოტანილი სარგებელი და შემუშავდება შემდგომი სამოქმედო გეგმა, მათ შორის კანონის მოქმედების არეალის გაფართოების

კუთხით. ჩვენი მთავრობისთვის პრიორიტეტი მთაში მცხოვრებთა მაქსიმალური ხელშეწყობა და მოსახლეობის დაბრუნება გახლავთ. საქართველოში დაწესდება მთის კვირეული, რომელიც ხელს შეუწყობს მთისა და მთის კურორტების განვითარებას და იქ მცხოვრები მოსახლეობის საჭიროებებზე ეფექტურ რეაგირებას. პარალელურად, რამდენჯერმე შეხვდი სოფლად მაცხოვრებლებს და პროექტის „დანერგე მომავალის“ ახალი, კენკროვანი ბაღების, ქვეკომპონენტი გავაცანი. მიმაჩნია, რომ აუცილებელია თითოეულმა გლეხმა აითვისოს სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი თანხები, გააშენონ ბაღები და ნახონ სარგებელი. მოხარული ვარ, რომ კენკროვანი ბაღების გაშენების მსურველები უკვე გამოჩნდნენ და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან კონსულტაციებს უახლოეს დღეებში აწარმოებენ. ვაპირებ ყველა დაინტერესებულ პირს პირადად შევხვდე და სრული ინფორმაცია მივაწოდო მსგავსი პროგრამების შესახებ, რაც საბოლოოდ ხელს შეუწყობს რეგიონში სოფლის მეურნეობის განვითარებას.

- ათასწლეულის გამოწვევის ფონდის მიერ იმერეთის რეგიონში 17 საგანმანათლებლო დაწესებულებას სრული რეაბილიტაცია უტარდება...

- ეს ძალზედ მნიშვნელოვანი პროექტია. რეგიონის მასშტაბით ამ სამუშაოებისთვის 10 მილიონ დოლარზე მეტია გამოყოფილი და საერთო ჯამში 50500 კვადრატული მეტრის რეაბილიტაცია განხორციელდება. პროექტის ფარგლებში მოწესრიგდება ფასადები, თავიდან შეიღებება კედლები, შეიცვლება სანტექნიკა, დაიგება იატაკი, შეიცვლება კარ-ფანჯრები, დამონტაჟდება გათბობის ახალი სისტემა, მოეწყობა ლაბორატორიები, სააქტო და სპორტული დარბაზები. საჯარო სკოლების სრული რეაბილიტაცია 2019 წელს დასრულდება და სასწავლო პირობები 10 000 მოსწავლისთვის გაუმჯობესდება. გარდა ამისა, ზესტაფონში გავხსენით ახლადაშენებული სამშენებლო კოლეჯი „კონსტრუქტ2“. 11 მოკლევადიანი პროფესიული პროგრამით კოლეჯი ყოველწლიურად 600-მდე სერტიფიცირებულ სპეციალისტს, ხოლო სახელმწიფო პროგრამით - დიპლომირებულ შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების სპეციალისტებს მოამზადებს. თავად ეს პროექტი კი, სამშენებლო სფეროს პროფესიონალი კადრებით შევსებას და დასაქმების ხელშეწყობას ითვალისწინებს.

- რეგიონში განსახორციელებულ უახლოეს ნაბიჯებზე რას გვეტყოდით?

- ამ მიმართულებით უამრავი სიახლე იგეგმება. სამშენებლო კომპანიამ „ემ კვადრატი - უძრავი ქონება“ ქუთაისში ახალი საერთაშორისო ბრენდის სასტუმროს პროექტის კონცეფცია წარადგინა. სასტუმრო, რომელიც ქალაქის ცენტრში, თეთრი ხიდის მიმდებარე ტერიტორიაზე უნდა აშენდეს, 125 ნომერს მოიცავს, განსაკუთრებული ინტერიერით და საოცარი ხედებით. პროექტის სრული საინვესტიციო ღირებულება 30 მილიონი ლარია და ახალი საერთაშორისო ბრენდის პროექტში ტერიტორიის ისტორიული დატვირთვა, ფუნქციონალური ნაწილი და ქალაქთან არქიტექტურული თავსებადობაა გათვალისწინებული. გარდა ამისა, პროექტი — „წითელი ხიდიდან „ჯაჭვის ხიდამდე“ - ქუთაისის ისტორიულ უბანში მე-19 საუკუნეში აშენებული სახლების და დავით კაკაბაძის სახვითი ხელოვნების გალერეის რეაბილიტაციას მოიცავს. მიმაჩნია, რომ ამ ტერიტორიის განვითარება ქუთაისისთვის უმნიშვნელოვანესია. პროექტის დასრულების შემდეგ, აღნიშნული ადგილი, როგორც ტურისტებისთვის, ასევე ადგილობრივებისთვისაც მიმზიდველი და საინტერესო იქნება. გარდა ამისა, ქუთაისში დაგეგმილია მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის და ბიბლიოთეკის რეაბილიტაცია, ჭიათურაში რეაბილიტაცია ჩაუტარდება ადგილობრივ სტადიონს, მიმდინარეობს იუსტიციის სახლის მშენებლობა. კონტრაქტორი ინვესტორების მხრიდან დიდი დაინტერესებაა კურორტ წყალტუბოს კუთხით. ტყიბულში დაგეგმილია ქურთუკების ქარხნის მშენებლობა, სადაც ადგილობრივი მოსახლეობა დასაქმდება და გაუმჯობესდება სოციალური ფონი. გარდა ამისა, სულ მალე ქუთაისს წყალარინების თანამედროვე ინფრასტრუქტურა ექნება და ამ მასშტაბურ სამუშაოებს ევროპის საინვესტიციო ბანკი დააფინანსებს. ამ დროისთვის, კანალიზაციის ქსელისა და გამწმენდი ნაგებობის მოწყობის საპროექტო და საზედამხედველო მომსახურებაზე საერთაშორისო ტენდერი დასრულებულია და პრეტენდენტი კომპანიების შერჩევის და გამარჯვებულის გამოვლენის პროცედურები მიმდინარეობს. პროექტის დასრულების შემდეგ ქუთაისის მოსახლეობას წყალარინების ახალი ინფრასტრუქტურა მოემსახურება

- მინდა წარმატებული წელი გისურვოთ...

- მთავარია, წარმატება მთელმა ქვეყანამ იგრძნოს. მიმაჩნია, რომ ამისათვის ყველა ის პროექტი, რომელიც ახლა ხორციელდება, მოსახლეობამდე უმოკლეს ვადებში უნდა მივიდეს და თითოეულ ოჯახს გაუჩნდეს სურვილი მონაწილეობა მიიღოს სხვადასხვა პროგრამაში. ჩვენს ქვეყანას რამდენიმე მნიშვნელოვანი პრიორიტეტი გააჩნია და ის ფინანსები რასაც, სახელმწიფო გამოყოფს სწორად უნდა იყოს ათვისებული. დარწმუნებული ვარ, როგორც კი ამ საკითხებს მოვაგვარებთ, გაცილებით ეფექტურად შეძლებთ მოსახლეობაზე მორგებული პროექტების განხორციელებას.

წარჩინებულ მოსწავლეთა რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება

მიმდინარე წელს, რეგიონში არსებული გართულებული ეკონომიკური ვითარების ფონზე, საქართველოს ეკონომიკა მდგრადობას ინარჩუნებს, რასაც საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების და სუვერენული საკრედიტო კომპანიების მიერ გამოქვეყნებული შეფასებები ადასტურებს. საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიის ვიზიტის ფარგლებში, მისმა წარმომადგენლებმა აღნიშნეს საქართველოში არსებული დადებითი ტენდენციები და მათ შორის მოსალოდნელზე მაღალი ეკონომიკური ზრდა. მიუხედავად ისა, რომ მოსახლეობა ჯერ კიდევ რთულ სოციალურ მდგომარეობაშია, მთავარი და იმედისმომცემი არის ის, რომ ქვეყანაში არის წინსვლა და თავისუფალი ბიზნეს-გარემო. სახელმწიფო მაქსიმალურად ცდილობს ყველა სფეროში ჩადოს პრიორიტეტების მიხედვით შესაბამისი ინვესტიციები, რათა ეს ყველაფერი კარგი საფუძველი გახდეს შემდგომი განვითარებისთვის. წინ ძალიან ბევრი გამოწვევებია და უამრავი პრობლემის მოგვარებაა საჭირო, რისთვისაც ყველას მუხლჩაუხრელი მუშაობა მართებს. როგორც ცენტრში, ისე ადგილებზე გრძელდება შიდა გზების დაგება. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა საბავშვო ბაღების რეაბილიტაციას და მათ თანამედროვე ინვენტარით აღჭურვას. იზრდება თვითმმართველობას, ცენტრალურ ხელისუფლებასა და ბიზნეს-სექტორებს შორის აქტიური ურთიერთთანამშრომლობა, ხოლო მოსახლეობა უფრო აქტიურად ერთვება საზოგადოებრივ და სამეურნეო საქმიანობაში, რათა ქვეყანა ინვესტორებისა და ტურისტებისთვის კიდევ უფრო მიმზიდველი გახდეს. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერი, ბატონი **ვალერი ფოცხვერია**, დარწმუნებულია, რომ ძალიან მალე, ქვეყნის მთავრობა, პრემიერ-მინისტრის, ბატონი მამუკა ბახტაძის ხელმძღვანელობით, დასახულ ამოცანებს თავს გაართმევს და პირნათლად შეასრულებს ხალხისთვის მიცემულ დაპირებებს.

- ბატონო ვალერი, მოგვიყევით სამტრედიაში მიმდინარე ინფრასტრუქტურულ სამუშაოებზე...

- მოგეხსენებათ, სულ ახლახან, იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულმა-გუბერნატორმა, შავლეგო ტაბატაძემ რეგიონში მიმდინარე და დასრულებული პროექტების მონიტორინგი განახორციელა და საგზაო ინფრასტრუქტურა დაათვალიერა. იმერეთის მხარის რწმუნებულმა თითოეული ობიექტის შესახებ დეტალური ინფორმაცია მოისმინა და ყურადღება გაამახვილა სამუშაოების ხარისხიანად შესრულებაზე, ობიექტების მოცემულ ვადებში დასრულებასა და ხარვეზების გამოსწორებაზე. საკითხები კონტროლზეა აყვანილი, რადგან სახელმწიფოს მიერ ინფრასტრუქტურის მოწესრიგებისთვის გამოყოფილი თანხებით მოხდეს პროექტების ხარისხიანად შესრულება. შესაბამისად, მინდა აღვნიშნო, რომ წელს, მუნიციპალიტეტის მასშტაბით, 28 კილომეტრი ასფალტო-ბეტონის და 6 კილომეტრი ბეტონის გზა იგება. სამუშაოები, როგორც რეგიონალური განვითარების ფონდიდან, ისე ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება და მიმდინარე სამუშაოებს ყოველდღიურ რეჟიმში ადგილზე პირადად ვაკვირდები. ამ ეტაპზე სამტრედიაში ილორის, გოგებაშვილის, გორგასლის და წინსვლის ქუჩებზე ასფალტო-ბეტონის საფარის დაგება უკვე დასრულებულია. იგივე სახის სამუშაო განხორციელდა სამტრედიის მუნიციპალიტეტის ქწერის თემის სოფელ ახალსოფელში თბილისი-სენაკი-ლესელიძის ავტომაგისტრალიდან მდინარე რიონის მიმართულებით ბორანამდე მისასვლელ გზაზე და დიდ ჯიხაიშში, ხონი-ჯიხაიში-იანეთის საავტომობილო გზიდან „სასაკლაოს“ უბანში საჯარო სკოლამდე. ასევე ასფალტო-ბეტონით დაიფარა სამტრედიის მუნიციპალიტეტში სოფელ ბაშში პირველი მოსაცდელიდან პირველი ქწრის მიმართულებით არსებული მონაკვეთი, სოფელ ქწერში ცენტრიდან „ჯიქოუბნის“ მიმართულებით, იანეთის მე-6 უბანი და სოფელ ღანირში „ელიავას მინდვრის“ ტერიტორია.

- ეს რაც შეეხება დასრულებულ პროექტებს. მიმდინარე სამუშაოებზე რას გვეტყოდით?

-ამჟამად, მუნიციპალიტეტში აქტიურად მიმდინარეობს ქუთაისი-ხონი-სამტრედიის ავტომაგისტრალის მარჯვენა მხარეს, დაბა კულაშის საჯარო სკოლის წინმდებარე ტერიტორიიდან სოფ. ხუნჯულაურის მიმართულებით ასფალტო-ბეტონის საფარის დაგება და სამტრედიაში ცურტაველისა და ევგენი

მიქელაძის ქუჩების რეაბილიტაცია. მოკლე ხანში დავასრულებთ გომის თემის სოფ. კორმაღალში და დაბა კულაშში ნინოშვილის ქუჩაზე და თამარ მეფის ქუჩიდან მელაურის მიმართულებით მიმდინარე სამუშაოებს. რაც შეეხება სამტრედიას, აქ რეკონსტრუქცია ჩაუტარდება ბათუმის I, II და III ჩიხებს, გრიბოედოვის, რუხაძის, მაზნიაშვილის, მშვიდობის, ვაჟა-ფშაველას ქუჩებს, ბარათაშვილის მე-2 ჩიხსა და ფარნავაზის I შესახვევს. კოსტავას, რუსთაველის და ლაშა თევზაძის ქუჩაზე მდებარე მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების ეზოებს. შესაბამისად, ეტაპობრივად მუნიციპალიტეტის მასშტაბით ყველა ქუჩა დაიგება და შევეცდებით წლის ბოლომდე მაქსიმალურად ბევრი ინფრასტრუქტურული პროექტი დავასრულოთ.

- რეგიონში მომხდარი ბუნებრივი სტიქიის შედეგებზე რას გვეტყოდით...

- მისი შედეგები საკუთარ თავზე ჩვენც გამოვცადეთ და ამჟამად, მუნიციპალიტეტის მასშტაბით, ძლიერი ქარის შედეგად დაზიანებული შენობების სახურავების სარეაბილიტაციო სამუშაოები კვლავაც მიმდინარეობს. ამ ეტაპზე, სამუშაოები დასრულდა და სახურავის სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა ლაშა თევზაძის ქუჩაზე არსებულ მე-3 ბაგა ბაღს, ჯიხაიშის ნიკო ნიკოლაძის სახელობის აგრარულ კოლეჯს და ჯიხაიშის მკვიდრის მანა ვაშაკიძის საცხოვრებელ სახლს. რაც შეეხება სამტრედიას, აქ ძლიერი ქარის შედეგად დაზიანდა, როგორც კერძო, ისე მუნიციპალური შენობები. ჩვენს მიერ დაზარალებულებზე შესაბამისი დახმარება ოპერატიულად გაიცა და მოხარული ვარ, რომ სახურავის სარეაბილიტაციო მასალა დაზარალებულ მოსახლეობას პირადად გადავეცი.

— დასაქმებისა და ზოგადად, სოციალური პროგრამების მხრივ რა მდგომარეობაა?

- როგორც ყველა რაიონში, ჩვენთანაც უმთავრეს პრობლემას სწორედ დასაქმება წარმოადგენს. სამწუხაროდ, ამ თვალსაზრისით, ჯერ კიდევ არასახარბიელო მდგომარეობა გვაქვს, რადგან, სახელმწიფო დაწესებულებების გარდა, სადაც მოსახლეობის მცირე ნაწილია დასაქმებული, არ გაგვაჩნია ფაბრიკა-ქარხნები ან საწარმოები, რომლებშიც ადამიანები დაკავდებიან. სწორედ ამიტომ, ვმუშაობთ იმაზე, რომ ინვესტორები მოვიზიდოთ და თავისუფალი ბიზნესგარემო შევქმნათ. პარალელურად, ვცდილობთ, ყოველწლიურად გავუმჯობესოთ და გავამრავალფეროვნოთ მუნიციპალური სოციალური პროგრამები, ყურადღება მივაქციოთ მომავალ თაობას. ახლახან, სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ნაბაკევში ახალი საბავშვო ბაგა-ბაღი გაიხსნა, რომელსაც 2018 წელს სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა, აღნიშნული ბაღი 60-მდე ბავშვზეა გათვლილი და კარგი პირობებია შექმნილი სააღმზრდელო პროცესისთვის. აქ ყველაფერი - სათამაშო ოთახი, სამზარეულო, საძინებელი, თანამედროვე სტანდარტებით არის მოწყობილი. საბავშვო ბაღს გააჩნია კეთილმოწყობილი და გამწვანებული შიდა ეზო საბავშვო მოედნით და საჩრდილობლებით. გარდა ამისა, წავახალისეთ მოსწავლე-ახალგაზრდობა და სამტრედიის მუნიციპალიტეტის მასშტაბით პორტაბელური კომპიუტერი 99 სხვადასხვა საჯარო სკოლის ყველა იმ წარმატებულმა მოსწავლემ მიიღო, რომელმაც სწავლა ცხრა კლასის ჩათვლით, 10 ბალიანი სისტემის მიხედვით წარჩინებით დაასრულა. სასიხარულოა, რომ სამტრედიის მუნიციპალიტეტში წარჩინებულ მოსწავლეთა რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება. ვამაყობ, რომ მათ დაჯილდოებას იმერეთის გუბერნიის და სამტრედიის საგანმანათლებლო რესურსცენტრის წარმომადგენლებთან ერთად მეც დავესწარი და პირადად გადავეცი კომპიუტერები.

- რაც შეეხება სამომავლო პერსპექტივებს?

-სამომავლოდ ბევრი მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელებას ვაპირებთ, რაც დიდ ზეგავლენას იქონიებს მუნიციპალიტეტის, როგორც ეკონომიკურ, ისე სოციალურ განვითარებაზე. მომავალი წლის განმავლობაში, მუნიციპალიტეტის მთავარი პრიორიტეტი კვლავაც საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა იქნება. მაქსიმალურად ვეცდებით მოვიზიდოთ ინვესტორები, ყურადღება მიექცევა სოციალურ პროექტებს, უყურადღებოდ არ დაგვრჩება, არც ერთი, მეტნაკლებად მნიშვნელოვანი საკითხი. ჩემი ხასიათიდან გამომდინარე, ძალიან პრინციპული ადამიანი ვარ, ამიტომ მჯერა, რომ შეუპოვარი და თავდადებული საქმიანობით მოსახლეობას მოკლე ხანში შევუმსუბუქებთ მდგომარეობას და მათ ნდობას სრულად გავამართლებთ.









აჭარაში, თანამედროვე საზღვაო განათლება, ნახევარ საუკუნეზე მეტს ითვლის. ამ ხნის განმავლობაში, ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიამ, როგორც ამ მიმართულების ერთ-ერთმა ფლაგმანმა, საზღვაო საქმის განვითარებაში უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა. ამ ხნის მანძილზე, სასწავლებელში მომზადებული 5 ათასამდე მაღალკვალიფიციურ სპეციალისტთა ნაწილი დღესაც წარმატებით მუშაობს საქართველოსა და მსოფლიოს მრავალი ქვეყნის დროშის ქვეშ მცურავ საოკეანო გემებზე. ფრიად მნიშვნელოვანი გარემოებაა, რომ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია სადღეისოდ სტუდენტებს განათლების მიღების შესაძლებლობას საზღვაო ინდუსტრიის ფართო სპექტრში სთავაზობს, რაც შესაძლებლობას იძლევა, სასწავლებლის კურსდამთავრებულებმა, საზღვაო სავაჭრო გემების ეკიპაჟებში, საზღვაო კრუინგულ კომპანიებში და სხვა სახელმწიფო თუ კერძო სამსახურებში, რომელთა საქმიანობაც საზღვაო ტრანსპორტის მომსახურებასთან, კონტროლთან და მართვასთან არის დაკავშირებული, სამეთაურო თანამდებობები დაიკავონ. გარდა ამისა, აკადემია ერთმნიშვნელოვნად ხელს უწყობს საქართველოს შავიზღვისპირა ზოლში განლაგებული სხვა საზღვაო დაწესებულებების განვითარებას და მათ კვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფს. იმის შესახებ, თუ როგორ აპირებს აკადემია საერთაშორისო სტანდარტებზე დაფუძნებული უმაღლესი, პროფესიული და უწყვეტი განათლების განმახორციელებელი საგანმანათლებლო ცენტრის სტატუსის შენარჩუნებას და შემდგომ განვითარებას, მისი რექტორი, შორეული ნაოსნობის კაპიტანი, პროფესორი, ბატონი **ირაკლი შარაგიძე** გვესაუბრა...

მუდმივად უნდა გავაძლიერეთ და განვაახლოთ საერთაშორისო კომუნიკაცია

- ბატონო ირაკლი, თავდაპირველად უმნიშვნელოვანესი სიახლით დავიწყოთ...

- მოგეხსენებათ, საზღვაო უნივერსიტეტების საერთაშორისო ასოციაციის გენერალური ასამბლეა 1999 წელს შვიდმა საზღვაო უნივერსიტეტმა დაარსა და მას შემდეგ ყოველწლიურად იმართება. წელს, ამ ფორუმის მასპინძელი, ბარსელონას საზღვაო ტექნოლოგიური უნივერსიტეტი იყო და მას მსოფლიოს 65 წამყვანი უნივერსიტეტის წარმომადგენლები ესწრებოდნენ. სწორედ ბარსელონაში გადაწყდა, რომ 2020 წელს ასამბლეას ბათუმის საზღვაო აკადემია უმასპინძლებს. მინდა სიამაყით აღვნიშნო, რომ აკადემიას კონკურენციას 9 საზღვაო უნივერსიტეტი უწევდა, თუმცა, საბოლოოდ ყველაფერი ჩვენს სასარგებლოდ გადაწყდა. ეს ნამდვილად დიდებული სიახლეა და წარმატების მწვერვალი გახლავთ. დარწმუნებული ვარ, ეს გარემოება კიდევ უფრო შეუწყობს ხელი საქართველოს საზღვაო სექტორის ინტეგრაციას ევროპულ სივრცეში და მოწინავე საზღვაო ქვეყნად ჩამოყალიბებას.

- რამ განაპირობა ეს დიდი წარმატება?

- ვფიქრობ, რომ, ყოველივე ზემოაღნიშნული ჩვენმა მრავალწლიანმა საქმიანობამ განაპირობა. გარდა ამისა, წელს მთლიანად განახლდა საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურა, ჩატარდა გათბობის, ელექტროობის, ინტერნეტის განახლებითი სამუშაოები, მოხდა სასწავლო აუდიტორიების კეთილმოწყობა და ჩვენი ტექნიკური ბიბლიოთეკის განახლება, რის შედეგადაც, სტუდენტებმა სრულიად ახალი, კომფორტული და თანამედროვე გარემო მიიღეს. პარალელურად, განვაახლეთ ლაბორატორია. აქამდე, საზღვაო აკადემიაში დაინსტალირებული ამწის სიმულატორი მოიცავდა STS ტიპის საკონტეინერო ამწის, კოშკურის და მობილური ტიპის ამწეების პროგრამულ უზრუნველყოფას. თუმცა, ახლახან, აჭარის მუნიციპალიტეტის დახმარებით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ხელშეწყო-

ბის მიზნით, მილენიუმის ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს პროექტის - „პროფესიული განათლება ეკონომიკის განვითარებისთვის“ - საგრანტო პროექტის ფარგლებში, დონორი ორგანიზაციების მიერ შესყიდული იქნა ამწის ოპერირების III და IV საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებისათვის საჭირო თანამედროვე სიმულაციური ტექნიკა. ამასთან დაკავშირებით, აკადემიაში ვიზიტით მყოფმა საერთაშორისო ტრენერმა აშიშ კუმარ შარმამ ამწის ოპერატორ-ტრენერებს და საზღვაო აკადემიის აიტი სამსახურის წარმომადგენლებს ტრეინინგი ჩაუტარა. მოქმედმა მასწავლებლებმა და სპეციალისტებმა წვრთნა წარმატებით გაიარეს და კომპანია ARI Simulation – Advanced-ის შესაბამისი სერტიფიკატები გადაეცათ.

- ალბათ, ძალზედ მნიშვნელოვანია გაცვლითი პროგრამები...

- ჩვენი მიზანია, საზღვაო და მომიჯნავე სფეროს სპეციალისტების მომზადება დარგის პრაქტიკულ ცოდნასა და სწავლების თანამედროვე, ინოვაციურ მიღწევებსა და მეთოდებზე დაფუძნებული საგანმანათლებლო და საწვრთნელი პროგრამების მეშვეობით განახორციელოთ. შესაბამისად, მუდმივად უნდა გავაძლიეროთ და განვაახლოთ საერთაშორისო კომუნიკაცია და პარტნიორული თანამშრომლობა. მოვახდინოთ საგანმანათლებლო საქმიანობის ინტერნაციონალიზაცია, სტუდენტებისა და პროფესორების გადამზადება. ჩვენი ადმინისტრაცია კარგად აცნობიერებს, რომ საზღვაო სფეროში კვალიფიცირებული კადრების მომზადების საქმეში წარმატების მისაღწევად აუცილებელია თანამშრომლობა საზღვაო სფეროში მოქმედ მარეგულირებლებთან, დამსაქმებლებთან. მსგავსი ხასიათის შეხვედრები სისტემატურად მიმდინარეობს. ახლახან, სასწავლო პროცესისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერების მიზნით, გერმანელი სტუდენტები გვწვევნენ. გაცნობითი ხასიათის შეხვედრაზე მათ სასწავლებელში არსებულ საგანმანათლებლო პროგრამებისა და სამომავლო პერსპექტივების თაობაზე პრეზენტაცია ჩაუტარდათ. გარდა ამისა, საზღვაო აკადემიაში სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდა BTEC-ის საერთაშორისო ექსპერტი, პენელოპა ვიგმორი. მისი ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა V საფეხურის პორტის ლოგისტიკის მენეჯმენტის პროფესიული პროგრამის გარე ვერიფიცირება. შესაბამისად, აკრედიტაციის საბჭოს 28 სექტემბრის გადაწყვეტილებით საგანმანათლებლო პროგრამამ კონცენტრირებული კომპონენტებით: მენეჯმენტი - საზღვაო გადაზიდვების ორგანიზაცია და ლოჯისტიკა“, მენეჯმენტი - ლოჯისტიკის მენეჯმენტი“, „ტურიზმი - საკრუიზო ტურიზმის მენეჯმენტი“ წარმატებით მიიღო სრული აკრედიტაცია. მიმაჩნია, რომ მსგავსი სახის ვიზიტები აკადემიის ინტერნაციონალიზაციისა და საერთაშორისო სტუდენტების მოზიდვის კუთხით, მართლაც ძალზედ მნიშვნელოვანია.

- წელს, თქვენი აკადემია, აბიტურიენტებში მოთხოვნების მხრივ პირველი გახლდათ...

- ეს მართლაც ძალიან სასიხარულო ფაქტია. სადღეისოდ, ჩვენი აკადემია ნამდვილად მზადაა მოამზადოს თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისი კომპეტენციის მქონე პასუხისმგებლიანი ლიდერები, რომელთაც ექნებათ პროფესიული პრობლემების იდენტიფიცირებისა და გადაჭრის, გუნდში მუშაობის, პიროვნული პოტენციალის რეალიზებისა და კომუნიკაციის უნარები, მაღალი ეთიკური ნორმები, რაც უზრუნველყოფს მათ კონკურენტუნარიანობასა და კარიერულ წარმატებას დასაქმების ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე. ამისთვის აუცილებლად დავნერგავთ ინგლისურენოვან სასწავლო პროგრამას და მოვიზიდავთ უცხოელ სტუდენტებს, გავაკეთებთ საზაფხულო სკოლებს, ჩავატარებთ ტრენინგებს და გავაკეთებთ ყველაფერს, რათა ჩვენმა პროფესორებმა ხშირად მიიღონ მონაწილეობა საერთაშორისო კონფერენციებზე.



- აქცენტს არა ბიზნესზე, არამედ განათლების ხარისხზე აკეთებთ...

- ჩვენთვის, მაღალი კვალიფიკაციის მქონე სტუდენტების და პროფესორების ყოლა ჭეშმარიტი პრიორიტეტია. 2016 წელს მიღებული 1 400 000 ლარიანი დაფინანსებით 2500 უმაღლესი და 500 პროფესიული განათლების მსურველი სტუდენტის მიღების უფლება მოვიპოვეთ. გამუდმებით ხდება ლაბორატორიის განახლება და ტექნიკის შეძენა. შესაბამისად, ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია, სტუდენტებს საზღვაო ინდუსტრიის ფართო სპექტრში განათლების მიღების რეალურ შესაძლებლობას სთავაზობს. რაც სამომავლოდ, მათ შესაძლებლობას მისცემს დასაქმდნენ საზღვაო გემების ეკიპაჟებში, კრუინგულ კომპანიებში და სხვადასხვა სახელმწიფო თუ კერძო სამსახურებში, რომელთა საქმიანობაც საზღვაო ტრანსპორტის მომსახურებასთან არის დაკავშირებული.

გვაქვს გეგმები, რაც დიდ ძალისხმევას და თანხებს მოითხოვს

საქართველოს ქალაქების სიცოცხლისუნარიანობა, მიმზიდველობა და ეკონომიკური განვითარება, პირდაპირ უკავშირდება თანამედროვე, მდგრადი ურბანული სატრანსპორტო პოლიტიკის შექმნას და განვითარებას. ამისათვის, აუცილებელია ტრანსპორტის მოძრაობის ორგანიზების მოდელის შემუშავება და ადგილობრივი კადრების მომზადება, ქალაქებში სხვადასხვა სახეობის, კარგად ინტეგრირებული საზოგადოებრივი ტრანსპორტის განვითარება, ველობილიკებისა და საფეხმავლო ქსელების მოწყობა. მნიშვნელოვანია, რომ აჭარის რეგიონში, კერძოდ კი ბათუმში, წარმატებით ხორციელდება შესაბამისი საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება, მოძრაობის ორგანიზაციის ოპტიმიზაცია და საგზაო უსაფრთხოების უზრუნველყოფა. დროულად მოხდა პარკინგის ერთიანი სტრატეგიის შექმნა და რაც მთავარია ტრანსპორტის სფეროში მოკლე და გრძელვადიანი სამოქმედო გეგმის შემუშავება. ფაქტია, რომ მოქალაქეებისთვის ტრანსპორტზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა საკმარისი რესურსების გარეშე შეუძლებელია, ხოლო, დღეს, ქალაქებში არსებული რესურსი ჯერ კიდევ არ არის ბოლომდე საკმარისი. აღნიშნული საკითხების გადაწყვეტა ნამდვილად შესაძლებელია ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან აქტიური მხარდაჭერის, ურბანული ტრანსპორტის სფეროში ეროვნული სამოქმედო გეგმისა და არსებული საკანონმდებლო და ინსტიტუციური ვაკუუმის შევსების პირობებში. სწორედ ამ საკითხებზე და დაგეგმილ სიახლეებზე შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტის“ დირექტორი, ბატონი **ბადრი ფარტენაძე** გვესაუბრა...

- ბატონო ბადრი, რა ვითარებაა ქალაქში, ტრანსპორტის განვითარების კუთხით?

- მოგეხსენებათ, ბოლო წლებში, ტრანსპორტის სიმჭიდროვის გაზრდის შედეგად, ბათუმი მწვავე პრობლემების წინაშე აღმოჩნდა. ვითარების გაუმჯობესების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობა, რა თქმა უნდა, არსებული ინფრასტრუქტურის მოდერნიზება და დღევანდელ მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა გახლავთ, მაგრამ პრობლემის მხოლოდ ტექნიკურ დონეზე ხედვა, საკმარისი არ არის. პირველ რიგში უნდა განისაზღვროს რაში გამოიხატება ურბანულ სივრცეში ტრანსპორტის სიმჭიდროვით გამოწვეული პრობლემა. ესენია - თავისუფლად გადაადგილების შეფერხება, ჰაერის დაბინძურება, ავტოსადგომის პრობლემა და ავტოავარიების გაზრდილი რისკი. შესაბამისად, ქალაქში ტრანსპორტის სიმჭიდროვის ზრდით გამოწვეულ პრობლემაზე სამუშაოდ, მის ტექნიკურ მხარეზე

ფოკუსის გარდა, საჭირო გახდა უფრო ღრმა და კომპლექსური ანალიზი, რაც მის რეალურ წყაროს და მის მოსაგვარებელ გზებს დაგვანახებდა.

- კონკრეტულად, რა ღონისძიებებს მიმართეთ?

- უპირველესად, მინდა აღვნიშნო, რომ ტრანსპორტის სფეროსთან შეხება ჩემთვის ახალი არ გახლავთ. მამაჩემი, თამაზ ფარტენაძე, წლების განმავლობაში ერთ-ერთი მოწინავე ტრანსპორტელი გახლდათ და „სატვირთო ავტოკოლონა 2655“-ს, რომელიც სწორედ ამ ტერიტორიაზე იყო განთავსებული, 20 წელი ხელმძღვანელობდა. სწორედ ამიტომ, ჩვენი მხრიდან ბოლო პერიოდში ბათუმის ტექნიკური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიმართულებით განხორციელებული პოზიტიური ძვრები გასაკვირი სულაც არ გახლავთ. ეს ყველაფერი ხდება იმის ფონზე, როდესაც ქალაქში განუწყვეტლივ მიმდინარეობს გზის საფარის, შუქნიშნებისა და გამყოფი ბარიერების მოწყობა. აქცენტი კეთდება არსებული გზების ეფექტურობის გაზრდასა და საზოგადოებრივი ტრანსპორტის განვითარებაზე.

- რაც შეეხება შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტის“ ახალი ავტობუსებით აღჭურვას...

- EBRD–ის მიერ ბათუმისათვის ახალი მუნიციპალური ავტობუსების შესაძენად გამოცხადებულ ტენდერში უკრაინულ-იაპონურმა კომპანიამ „ჩერკასკი ავტობუსმა“ გაიმარჯვა და ახალი ტრანსპორტი ქალაქის ქუჩებში „ბათუმობის“ დღესასწაულზე გამოჩნდა. ავტობუსები 60 მგზავრზეა გათვლილი, აღჭურვილია კონდიციონერით და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის გახლავთ ადაპტირებული. რაც შეეხება ძველ ტექნიკას, ყველა არსებული მუნიციპალური ტრანსპორტი დეპოში მოწმდება და დილით მხოლოდ გამართული ტრანსპორტი გადის ხაზზე. პარალელურად, საბარათე სისტემაზე გადასვლამ მგზავრობა უფრო მოსახერხებელი გახადა და აღმოიფხვრა ბილეთებთან დაკავშირებული გაუგებრობები. გარდა ამისა, თბილისის მოედანზე მოწესრიგდა და მოეწყო მგზავრებისათვის მუნიციპალურ ტრანსპორტში გადასხდომის ტერმინალი, რაც მგზავრებს საშუალებას აძლევს, დანიშნულების ადგილზე უფრო ეფექტურად და დროულად მივიდნენ. იქვე მოეწყო ფასიანი პარკირების ზონა, რომელიც 40-მდე მსუბუქი ავტომობილის გაჩერებას უზრუნველყოფს. დავამატებდი, რომ უკვე წლებია, მგზავრობის ღირებულება 30 თეთრი გახლავთ, ხოლო მერიის სუბსიდირების ფარგლებში პენსიონერები, პედაგოგები და სტუდენტები 15 თეთრიანი შეღავათიანი მგზავრობით სარგებლობენ.

- არსებულ პრობლემებს რაც შეეხება...

- სამწუხაროდ, ჩვენ სფეროში ხელფასები ძალიან დაბალია და აქედან გამომდინარე, ახალი კადრების მოზიდვა ძალიან გვიჭირს. შესაბამისად, ამ მიმართულებით არსებითი ნაბიჯების განხორციელებას ვაპირებთ. გვინდა კონტაქტები დავამყაროთ ტექნიკურ უნივერსიტეტთან, სადაც სტუდენტებს შესაძლებლობა ექნებათ შესაბამისი განათლება მიიღონ და რამდენიმე წელიწადში ჩვენი თანამშრომლების რიგები პროფესიონალი კადრებით შეივსოს. გარდა ამისა, საკალალო მდგომარეობაშია ავტოპარკი. მოძველებული და გაუმართავი ტექნიკა წლის განმავლობაში ძალიან დიდ ხარჯებს მოითხოვს. აქედან გამომდინარე, 20-მდე ავტობუსს, რომელიც შეკეთებას აღარ ექვემდებარება, საკარაუდოდ, ჩამოვწერთ. ვფიქრობთ 400-მდე საინფორმაციო დაფის ოპტიმიზაციაზეც, რომელსაც ახლახან 20-მდე ახალი ელექტროტაბლო დაემატა. მოქალაქეებს სასურველი მარშრუტის ტრანსპორტის განრიგი სმს შეტყობინებით მიუვათ და დიდხანს ლოდინი აღარ მოუწევთ, ხოლო სასურველი ინფორმაციის მიღება ინტერნეტითაც შეეძლებათ.

- სამომავლო გეგმებზე რას გვეტყოდით ...

- სამომავალოდ, უაღრესად მნიშვნელოვანია ის სტრატეგიული მიმართულებები, რაც ქალაქის გენგეგმაში ტრანსპორტის მოწესრიგების მიმართულებით გახლავთ ჩადებული. უნდა მოხდეს ქალაქის ცენტრის განტვირთვა, უნდა დაინერგოს მდგრადი მობილურობის კონცეფცია და მინიმუმამდე შემცირდეს რისკები. გვაქვს გეგმები, რაც დიდ ძალისხმევასა და თანხებს მოითხოვს. დარწმუნებული ვართ, მერთან და საკრებულოსთან ერთად, ყველაფერს შევძლებთ სიტუაციის გამოსასწორებლად. განახლდება ავტოპარკი, მძღოლებიც კიდევ უფრო მეტ ყურადღებას დაუთმობენ საკუთარ გარეგნულ მხარეს, რაც ჩვენი ტურისტული ქალაქისათვის ძალზედ მნიშვნელოვანია. დავგეგმავთ ახალ ხაზებს, რაც ქალაქზე ახლად შემოერთებულ უბნებსაც მოიცავს. პარალელურად დასრულდა მუშაობა ელექტროავტობუსების შეძენაზეც, რომელიც ბათუმში არსებულ ეკოლოგიურ მდგომარეობაზე უთუოდ დადებითად აისახება. უკვე განსაზღვრულია მარშრუტიც და ისინი ბათუმი ცენტრალიდან აეროპორტამდე იმოძრავებენ. ვფიქრობ, ჩვენ სექტორში მოსახლეობისათვის სასიკეთო ამდენი პროექტი წლების მანძილზე არ გაკეთებულა. ამიტომ დარწმუნებული ვარ ჩვენი ერთად დგომით, ყველაფერი დადებითად გადაწყდება.

მნიშვნელოვანია ექიმების კვალიფიკაციის დონის ამაღლება

ამ სოფლიოს უმეტეს ქვეყნებში, ბოლო ათწლეულებია, საკეისრო კვეთით მიმდინარე მშობიარობათა რიცხვის ყოველწლიური ზრდა შეინიშნება. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციით, საკეისრო კვეთის პროცენტული მაჩვენებელი, მშობიარობათა საერთო რაოდენობის 15%-ს არ უნდა აღემატებოდეს. არადა, საქართველოში ეს რიცხვი 37.3%-ს შეადგენს. მიუხედავად იმისა, რომ საკეისრო კვეთა სიცოცხლის გადარჩენას ემსახურება, ხშირად იგი სამედიცინო ჩვენებების გარეშე ტარდება, რაც ზრდის დაავადებათა განვითარების რისკს და უარყოფითად აისახება დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობაზე. პრობლემის დაძლევის ერთ-ერთ მთავარ საშუალებას ორსულთათვის სრულფასოვანი ინფორმაციის მიწოდება წარმოადგენს. საჭიროა ორსულთა ინტენსიური კონსულტაციები, მშობელთა სკოლების დაარსების ხელშეწყობა და ქალთა კონსულტაციებში საინფორმაციო ბუკლეტების გავრცელება. ასევე მნიშვნელოვანია ექიმების კვალიფიკაციის დონის ამაღლება, მშობიარობის კონსერვატიული მართვისა და ფიზიოლოგიური მშობიარობის ტექნიკის დახვეწის თვალსაზრისით. აუცილებელია საკეისრო კვეთის პროტოკოლების გამოყენება და პირველადი საკეისრო კვეთის სამედიცინო ჩვენებების გამკაცრება. აკადემიკოს ზ. ცხაკაიას სახელობის დასავლეთ საქართველოს ინტერვენციული მედიცინის ცენტრის დედათა და ბავშვთა განყოფილების უფროსი, ბატონი **ოლეგ სინაურიძე** ზემოხსენებული პრობლემების სიმწვავეზე და მისი გადაჭრის გზებზე გვესაუბრა...

- ბატონო ოლეგ, თავდაპირველად კლინიკის შესახებ მინდა გკითხოთ...

- დასავლეთ საქართველოს ინტერვენციული მედიცინის ცენტრი თანამედროვე, მესამე დონის მრავალპროფილიანი კლინიკა გახლავთ, რომელიც ქუთაისში, 2005 წელს დაარსდა. ცენტრი აღჭურვილია ულტრათანამედროვე აპარატურით და ჩვენთან მართლაც, რომ უნიკალური, მაღალტექნოლოგიური პროცედურები და ოპერაციები ტარდება. ეს გახლავთ კარდიოლოგიური კვლევები მაგნიტურ-რეზონანსული და კომპიუტერული ტომოგრაფიით, ფილტვების, სანაღვლე გზების და ნაწლავების ვირტუალური რეკონსტრუქციები, თავის ტვინის პერფუზიული და ფუნქციური გამოკვლევები, კომპიუტერული ნავიგაციით მუხლის სახსრის ენდოპროთეზირება, მეზენტერიალური და კორონარული არტერიების სტენტირება და სხვა მრავალი. ჩვენი სტაციონარი 110 ავადმყოფზეა გათვლილი და ჩვენი მოქალაქეების გარდა, სხვა ქვეყნის პაციენტებსაც ემსახურება.

- თქვენ, კლინიკის დედათა და ბავშვთა განყოფილების უფროსი ბრძანდებით...

- თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, 1984 წელს, მუშაობა ჩაჩავას სახელობის ინსტიტუტში დავიწყე მეცნიერ-მუშაკად. 1986 წლიდან პირველ სამშობიარო სახლში გადავედი, სადაც 2012 წლამდე ვიმუშავე. მოგვიანებით კერძო კლინიკაში ვმოღვაწეობდი, სადაც 5 წელი დავყავი, დასავლეთ საქართველოს ინტერვენციული მედიცინის ცენტრში კი ქალბატონი ანჟელა ორჯონიკიძის თხოვნით გადმოვედი და დედათა და ბავშვთა განყოფილებაში საორგანიზაციო საკითხების მოგვარება და საჭიროების შემთხვევაში პრაქტიკული დახმარების აღმოჩენა მევალება.

- მინდა უკანასკნელ ხანს, მოსახლეობაში ძალიან პოპულარულ საკეისრო კვეთაზე გკითხოთ...

- ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიხედვით, საკეისრო კვეთის ოპერაცია უნდა ჩატარდეს იმ შემთხვევაში, როდესაც ბუნებრივი გზით მშობიარობა საფრთხის შემცველია დედის ან ნაყოფის სიცოხლის ან ჯანმრთელობისთვის. საკეისრო კვეთის ჩვენებებია - გახანგრძლივებული მშობიარობა, დისტრეს-სინდრომი, ნაყოფის პათოლოგიური მდებარეობა. საკეისრო კვეთამ შესაძლოა გამოიწვიოს სერიოზული გართულებები, დაინვალიდება ან ლეტალური გამოსავალი, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც უსაფრთხო ქირურგიული ჩარევისთვის და შესაძლო გართულებების მკურნალობისთვის არ არის პირობები და საშუალებები. ჩვენ ქვეყანაში, სამწუხაროდ, ზოგადად დაბალია მელოგინეთა ინფორმირებულობა საკეისრო კვეთების რისკებისა და გართულებების შესახებ. საკეისრო კვეთის არჩევის ძირითად მიზეზად მელოგინეები ასახელებენ ფიზიოლოგიური მშობიარობის დროს ტკივილისა და შიშის ფაქტორს. ზოგი მელოგინის აზრით, ფიზიოლოგიურ მშობიარობასთან შედარებით, საკეის-

რო კვეთის ოპერაციის შემთხვევაში იზრდება, როგორც მათი, ასევე ნაყოფის უსაფრთხოება და დაცულობა. აღნიშნულს ხელს უწყობს საზოგადოებაში გავრცელებული აზრი, რომ საკეისრო კვეთა სრულიად უსაფრთხო პროცედურას წარმოადგენს.

– რა არის საკეისრო კვეთის დადებითი და უარყოფითი მხარეები?

– დადებითია შედარებით უსაფრთხო და უმტკივნეულო მშობიარობა იმ შემთხვევებში, როდესაც ბუნებრივი მშობიარობა რისკის ქვეშ აყენებს ქალის ან ბავშვის სიცოცხლეს და ჯანმრთელობას. საკეისრო კვეთისას საშო არ იჭიმება, არ ჩნდება ჩახვევები, არ ედება ნაკერები, არ იჭიმება მყესები და მენჯის ორგანოები, არ ხდება მათი დაწევა. გამოირიცხება ახალშობილის თავის ტრამვირება და დეფორმაცია. თუმცა ამის საპირისპიროდ ნარკოზის შემდეგ მელოგინის ტვინი ვეღარ იღებს სიგნალს, რომ ბავშვი დაიბადა, რაც ორგანიზმში ერთგვარ გაურკვევლობას იწვევს და საშვილოსნო ისე ინტენსიურად არ იკუმშება, როგორც ბუნებრივი მშობიარობის შემდეგ. ჭრილობის მოშუშება, ტკივილი, სისხლის დანაკარგის აღდგენა განაპირობებს იმას, რომ მელოგინეს სჭირდება წოლითი რეჟიმი და უჭირს მაშინვე ახალშობილის მოვლა და ძუძუთი კვება. ახალშობილებში ხდება ნევროლოგიური, იმუნური ფუნქციის დაქვეითება, ასთმის და დიაბეტის რისკის გაზრდა, ნაწლავის ნორმალური ბიოცენოზის დარღვევა და ბავშვი ვერ ასწრებს ადაპტაციას. აუტიზმის მქონე ბავშვების უმეტესობა სწორედ საკეისრო კვეთით არის დაბადებული.

– რაში ხედავთ გამოსავალს?

– სასურველია სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებების ჩართვა და საზოგადოებისათვის სრულფასოვანი ინფორმაციის მიწოდება. საჭიროა ორსულთა ინტენსიური კონსულტაციები,

მშობელთა სკოლების დაარსების ხელშეწყობა და ქალთა კონსულტაციებში საინფორმაციო ბუკლეტების გავრცელება. ასევე მნიშვნელოვანია ექიმების კვალიფიკაციის დონის ამაღლება, მშობიარობის კონსერვატიული მართვისა და ფიზიოლოგიური მშობიარობის ტექნიკის დახვეწის თვალსაზრისით. მიზანშეწონილია შეიქმნას ინტერნეტ გვერდი, სადაც განთავსდება ინფორმაცია იმ კლინიკების შესახებ, რომლებშიც მაღალია საკეისრო კვეთის მაჩვენებელი. პარალელურად საზოგადოებას უნდა მიეწოდოს ინფორმაცია ამ კლინიკებში მშობიარობის არაპრესტიჟულობის შესახებ. ეს იქნება ერთგვარი ანტიპიარი სამედიცინო დაწესებულებებისთვის.

– ბოლო დროს თქვენს კლინიკაში და ზოგადად ქართულ სამედიცინო სივრცეში უამრავი სიახლე დაინერგა...

– თანამედროვე მედიცინა გიგანტური ნაბიჯებით მიიწევს წინ და ჩვენც, ქართველი ექიმები, ვცდილობთ, არ ჩამოვრჩეთ მას. დასავლეთ საქართველოს ინტერვენციული მედიცინის ცენტრში ყოველწლიურად ტარდება ტრენინგები კვალიფიკაციის ასამაღლებლად. განიხილება თანამედროვე მედიცინის თეორია და მიღწევები. დაწესებულება თავად ზრუნავს თანამშრომლების განათლებაზე, პროფესიონალიზმზე და კურსების ღირებულების 80 პროცენტს საკუთარი ხარჯებით ანაზღაურებს. გვაქვს, როგორც სამეანო, ისე გინეკოლოგიური პათოლოგიების გამოცდილება. ვაკეთებთ უსისხლო ლაპაროსკოპიას. მიუხედავად ურთულესი მდგომარეობისა არცერთი ჩვენი პაციენტი არ დაღუპულა. ვფიქრობ, დიდი წარმატებები კლინიკას ჯერ კიდევ წინა აქვს, ჩვენ ყველა ერთ საქმეს ვემსახურებით, ახალგაზრდა, მოტივირებული გუნდი გვყავს და ჩვენს მაღალ შედეგებს საქმის ერთგულება განაპირობებს.

სამშენებლო კომპანია
ბეტონისა და რკინა-ბეტონის ქარხანა

„ტობე“

შპს „ტობე“
აწარმოებს
მაღალი სიმტკიცის
სერთიფიცირებულ
მ-150,მ-200,მ-250,
მ-300,მ-400 მარკის
სასაქონლო ბეტონს
შემოღობვის ფილებს,
საკედლე პანელებს,
საძირკვლის,
ზეძირკვლის,
სარტყლის, საკედლე,
წვრილსაკედლე,
ტიხრის ბლოკებს
ზღუდარებს,
რიგულებს,
კოლონებს,
საკანალიზაციო ჭებს
აგრეთვე , აწარმოებს
ყველა სახის
წინასწარ დაძაბავ
კონსტრუქციებს

შესაძლებელია
8 საათის
განმავლობაში
400 და მეტი კუბი
მაღალხარისხოვანი
ბეტონის გაცემა

შეკვეთები სრულდება
დროულად,
ხარისხიანად
დამკვეთთან
შეთანხმებით

ქუთაისი ავტომშენებლის ქ №4
ტელ: 571 55-55-01; 577-78-06-70
0431 27-01-13 ;23-60-60;26-74-37
e-mail: tobet@posta.ge
tobet@bk.ru

სამშენებლო კომპანია





„ტობე“ 15 წლისაა...

„მარტვილავტოგზა“

შპს „მარტვილავტოგზა“
მარტვილი მშვიდობის ქ.#148
ტელ.: 599303598

profesionali+

Leselidze st. L2. N2 Terjola, Georgia
Agmaschenebeli AVE N81. Kutaisi, Georgia
Office: +995 0 790 702 302; +995 (0) 431 25 13 25
Mobile: +995 599 58 77 48
Email: ltdmtm@gmail.com

MTM

Director
Mevlud Getsadze

Polimeri 1

GEORGIAN PLASTIC PIPES

შ.პ.ს „პოლიმერი~ 1985 წელს, კოოპერატივის ფორმით ჩამოყალიბდა და მის ძირითად საქმიანობას მცირე დიამეტრის პოლიეთილენის მილებისა და ფირის წარმოება შეადგენდა. დღიდან დაარსებისა, კომპანიის ხელმძღვანელი ბატონი ამირან ადეიშვილი გახლავთ.

2009 წელს კომპანიის ბაზაზე შ.პ.ს „პოლიმერი 1~ ჩამოყალიბდა. მოხდა წარმოების სრული გადაიარაღება. დამონტაჟდა 4 ერთეული სხვადასხვა დიამეტრის მილების თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი უცხოური დანადგარი, რომლითაც ხდება სასმელი წყლისა და გაზის მაგისტრალური ქსელებისათვის მაღალ წნევებზე მომუშავე 24 დასახელების (დ-20 მმ დან - დ-630 მმ ჩათვლით) პოლიეთილენის მილების წარმოება.

2016 წელს კომპანიას ნაციონალური და საერთაშორისო კანონმდებლობის დონეზე ISO 9001:2015 სერტიფიკატი მიენიჭა.

2017 წლიდან ორგანიზაციამ მასშტაბები გააფართოვა და საკანალიზაციო და სანიაღვრე სისტემებისათვის „გოფრირებული~ მილების წარმოება დაიწყო.

კომპანიას 32 წლიანი გამოცდილება გააჩნია, საკუთარ ბაზაზე გადამზადებული მაღალკვალიფიციური ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი, ფლობს უმაღლესი ხარისხის თანამედროვე ტექნოლოგიებს და აწარმოებს ევროპული ხარისხის მილებს, რომელთა საექსპლუატაციო პერიოდი 50-55 წელს შეადგენს.

აღსანიშნავია, რომ მაღალი დიამეტრის (20მმდან-1400მმ-ს ჩათვლით) მილების დახვევით, სამუშაო პროცესის დროს, მომხმარებელი ღებულობს 5-ჯერ ნაკლებ დანახარჯს, როგორც დროის, ასევე ფინანსური თვალსაზრისით.

მის:. თბილისი, ვაგზლის ქ. №15ა,

ტელ: (995 32)2 40-30-19;

599 99-36-36;

577 119-919; 599 99-35-35;

www.polimeri1.ge

info@polimeri1.ge

NEW DESIGN

თბილისი.
ალმაშენებლის ხეივანი, მე-13 კმ
კახეთის გზატკეცილი,
ეკ. ბალდავაძის 20
ტელ: (032) 271 64 01
მობ: (591) 00 64 01
E-mail: giorgii2004@gmail.com
www.newdesign.ge

Hotel
BORJOMI AISI
Georgia, Borjomi
9 Aprili st1
Tel.: 557 66 95 66

ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ ᲖᲔᲓᲛᲔᲢᲘ ᲮᲐᲠᲯᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ

ᲤᲐᲡᲐᲓᲘᲡ ᲗᲔᲠᲛᲝᲘᲖᲝᲚᲐᲪᲘᲐ